დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებულ შენიშვნებზე

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაინერგა სამოქალაქო ბიუჯეტი, რომლის მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება. აღნიშნული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს სთავაზობს თავად შეიმუშაონ კონკრეტულ დასახლებაში არსებული პრობლემის გადაჭრის გზები და რიგი პროცედურების გავლის შემდეგ განსაზღვრონ პრიორიტეტული პროექტები.

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში გამოვლინდა ორი გამარჯვებული პროექტი შესაბამისად მიზანშეწონლად მიგვაჩნია აღნიშნულის ასახვა მოხდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში, რომელიც გათვალისწინებულია „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფორმირების წესის შესაბამისად.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია 2024 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პერიოდისთვის 2023 წელს ეფექტურად განხორციელდეს საინფორმაციო კამპანია, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ფინანსრური რესურსი აისახოს ბიუჯეტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიუჯეტის მე-19-ე და მე-20-ე მუხლის 05.01.06.01 და 06.02.06.01 კოდებში განხორციელდეს ცვლილებები, ასევე დაემატოს 05.06 კოდი (მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა და საზოგადოების ინფრომირება) და ყველა ეს ცვლილება აისახოს 21-ე მუხლში.

- **აღნიშნული პროგრამული კოდები გათვალისწინებული იქნება 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.**

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N1 განკარგულების შესაბამისად დასრულდეს სპორტ დარბაზის შენობის რეაბილიტაცია (პროექტირება, სარემონტო სამუშაოები);

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 მაისის N24 განკარგულების შესაბამისად, 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას 150,0 ათასი ლარი ა(ა)ი.პ. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“, კერძოდ, სამხატვრო სკოლის რეაბილიტაციისათვის(პროექტირება, სარემონტო სამუშაოები);

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 მაისის N26 განკარგულების შესაბამისად, გათვალისწინებული იქნა დაბა ჩოხატაურში, მთავარი ბიბლიოთეკის შენობის და ქვენობნის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, მოსე გოგიბერიძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია (პროექტირება, სარემონტო სამუშაოები).
ზემოთ აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის დაფინანსება გამოიყოს, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასევე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან.

● **აღნიშნულის სამუშაოების პროექტირება გათვალისწინებულია, ხოლო სამუშაოების შესრულება უნდა განხორციელდეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან;**

3. ,,საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა, საჯარო მოხელეთა, ადმინისტრაციულ და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება და ასახული იქნას 2023 წლის ბიუჯეტში.
● **აღნიშნული ასახულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.**

4. ა(ა)ი.პ. „კურორტ ბახმაროს" 2023 წლის ბიუჯეტის პროექტიდან (მუხლი 16, კოდი 02.07) გამოყოფილი აქვს 35,0 ათასი ლარი, საბიუჯეტო ასიგნებებიდან (მუხლი21) ირკვევა, რომ შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფილია 31,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის N50 განკარგულებით, შეიქმნა დასახლება დაბა ბახმრო, აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერის მიერ, დაბა ბახმაროში დაინიშნა მერის წარმომადგენელი და სპეციალისტები. საკრებულოს მიერ დამტკიცდა და მერის ზედამხედველობისა და არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურს დაემატა თითოეულს ერთი საშტატო ერთეული, რომელებმაც უნდა იმუშაონ ბახმაროს საკითხებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია, რა ფუნქციები დარჩა ა(ა)ი.პ „კურორტ ბახმაროს", მაშინ, როცა დაფინანსებული 35,0 ათასი ლარიდან 31,0 ათასი ლარი შრომის ანაზრაურებისთვისაა გამოყოფილი;

● **აღნიშნულთან დაკავშირებით იგეგმება რეორგანიზაცია.**

5. გასული წლების ადგილობრივ ბიჯეტში შემოსულობების ანალიზის და მუნიციპალიტეტის მერის 22.08.2022 ბრძანებით დამტკიცებული მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, არარეალურია ბიუჯეტის პროექტის მე-2- ე მუხლში წარმოდგენილი ბიუჯეტის შემოსულობებიდან არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი;

● **აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა.**

6. გასული წლების ადგილობრივ ბიუჯეტში, ბიუჯეტის სხვა შემოსავლების (მუხლი 6) ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ დღეის მდგომარეობით, არარეალურია ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის და წიაღით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან შემოსავალი.

ამავე მუხლში, შესაძლებელია, მნიშვნელოვნად გაიზარდოს შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები, საურავები) ადმინისტრაციული .სამართალდარღვევის გამო (დაბა ბახმაროში უკანონო მშენებლობიდან შემოსული ჯარიმების ხარჯზე და სხვ.);

● **აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა ფინანსთა სამინისტროსთან დამატებითი რესურსის მოძიების თაობაზე.**

7. ა(ა)ი.პ „სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ცენტრის“ ბაზაზე მოხდეს მხტვრული ტანვარჯიშის წრის გახსნა, არსებული საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში(მუხლი 21, კოდი 05.01.05);

● **გათვალისწინებული იქნება 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.**

8. მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის 16-ე მუხლს დაემატოს 02.03.02 კოდი და ამ კოდში გათვალისწინებული იქნას 50,0 ათასი ლარი ახალი წყალგაყვანილობის და წყალსადენის არსებული ქსელის რეაბილიტაციისათვის, გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში;

● **წყლის სისტემის მოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 03) ასახულია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში, ხოლო თანხა გათვალისწინებული იქნება საჭიროების მიხედვით.**

9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის 21-ე მუხლში კოდი (03.02) „მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა“ დაემატოს 20,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების შეძენისა და დარგვისათვის;

● **გათვალისწინებული იქნება და დაემატება 20,0 ათასი ლარი 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.**

10. ა(ა)ი.პ „სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ საბიუჯეტო ასიგნებები (მუხლი 21-ე, კოდი 05.02.09), გაიზარდოს 15,0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯზე (მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, სამხატვრო სკოლის, სამუსიკო სკოლის შენობების მიმდინარე რემონტი);

● **აღნიშნული გათვალისწინებული იქნება დამატებითი სახსრების არსებობის შემთხვევაში.**

11. ა(ა)ი.პ „არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის“ საბიუჯეტო ასიგნებები (მუხლი 21, კოდო 05.01.10) გაიზარდოს 35,0 ათასი ლარით, კერძოდ, არაფინანსური აქტივების ზრდა;

● **აღნიშნული გათვალისწინებული იქნება დამატებითი სახსრების არსებობის შემთხვევაში.**

12. ა(ა)ი.პ „კულტურის ცენტრის“ საბიუჯეტო ასიგნებები (მუხლი21,კოდი 05.02.01.02) გაიზრდოს 8,0 ათასი ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა);

● **აღნიშნული გათვალისწინებული იქნება დამატებითი სახსრების არსებობის შემთხვევაში.**

13. ა(ა)ი.პ „მომავალის“ (მუხლი 21,კოდი 04.01) საბიუჯეტო ასიგნებებს დაემატოს 10,0 ათასი ლარი, ასევე ამ მუხლში „საქონელი და მომსახურების“ ხარჯს გამოაკლდეს 10,0 ათასი ლარი და 20,0 ათასი ლარი მიემართოს არაფინანსური აქტივის ზრდისთვის, კერძოდ, საგანმანათლებლო რესურსის (ქარხნული წესით დამზადებული, თუ ხელნაკეთი სათამაშოები, ბუნებრივი, სამხატვრო და საკანცელარიო ღია და მეორადი მასალა, ბეჭდვითი მასალა და ა.შ.) შესაძენად;

- **აღნიშნული გათვალისწინებული იქნება დაემატება 10,0 ათასი ლარი.**

14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 16-ე მუხლის 02.06. კოდიდან საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა გრაფიდან პროგრამის აღწერა და მიზანი, ამოღებული იქნას შემდეგი: „ასევე პროექტის განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა, მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით“;

- **აღნიშნული გათვალისწინებული იქნება 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.**

15. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის 21-ე მუხლში მოცემული ბიუჯეტის ასიგნებების მუხლში (კოდი 01.01.01), ჩოხატაური საკრებულო „საქონელი და მომსახურება“,

გამოყოფილი იქნას სხვა ხარჯები 113,7 ათასი ლარი (საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ხარჯები). აღნიშნული მუხლის ეს ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქონელი და მომსახურება - 319,8,

სხვა ხარჯები - 113,7 ათასი ლარი,

აღნიშნულის გათვალისწინებით, შეტანილი იქნას შესაბამისი ცვლილებებ 21-ე მუხლში.

- **აღნიშნული გათვალისწინებული იქნება 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.**

16. 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის 21-ე მუხლში, ბიუჯეტის ასიგნებების მიხედვით, მერიის სამხედრო არღიცხვისა და გაწვევის სამსახური დაფინანსებულია 188,7 ათასი ლარით, საიდანაც 85,0 ათასი ლარი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერით ფინანსდება, ხოლო დარჩენილი 103,7 ათასი ლარი კი საკუთარი შემოსავლებიდან.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, თუ რატომ ფინანსდება დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება ამ რაოდენობის თანხებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

- **მიზნობრივი (დელეგირებული უფლებამოსილების) ტრანსფერი არ არის საკმარისი და სხვა დანარჩენი ხარჯები ფინანსდება ადგილობრივი სახსრებით.**

17. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს წარდგენილი აქვს პროექტი ევროკომისიის მიერ გამოცხადებულ საგარანტო კონკურსში „ადამიანის უფლებები, დემოკრატიისა და ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“. პროექტის სახელწოდებაა „ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ“.

ეს არის:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 6 (ექვსი) საბავშვო ბაღის ენერგოუსაფრთხოების ღონისძიებების სრული იმპლემენტაცია.
2. მცირე საგრანტო პროგრამების განხორციელება განახლებადი ენერგიის წყაროების პოპულარიზაციისათვის.
3. საზოგადოების ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება ენერგოუსაფრთხოების კუთხით
4. ადგილობრივი თვითმმართველობის, ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის რეინვისტირების მექანიზმების შემუშავება.

ამ პროექტის განსახორციელებლად საჭიროა მუნიციპალიტეტის მხრიდან თანადაფინანსება, რომელზეც არსებობს წინასწარი შეთანხმებაც; სავარაუდო თანხა შეადგენს 100 000 ლარს.

- **აღნიშნულის განხორციელება იგეგმება კეთილმოწყობის ღონისძიებებიდან (პროგრამული 02 03) .**

18. ბიუჯეტის პროექტის მე-19-ე და 21-ე მუხლებში აისახოს გენდერული თანასწორობის კოდი 05.05 – 30 000 ლარი.

- **აღნიშნული გათვალისწინებული იქნება 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.**

19. ბიუჯეტში აისახოს ბუკნარის თანასწორობის ცენტრის მართვის მიზნით ერთი საშტატო ერთეული, კონკრეტულად ა(ა)იპ -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის საშტატო ნუსხაში.

- **აღნიშნული გათვალისწინებულია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.**

20. აისახოს ბიუჯეტში მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლების ფულადი დახმარების მიზნით 12 000 ლარი და დაწესდეს მათთვის ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით.

- **აღნიშნული გათვალისწინებულია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.**

21. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების თანხა გაიზარდოს 10 000 ლარამდე, აქედან 5000 ლარი განისაზღვროს შშმ პირთა დედების მიერ წარმოდგენილი მცირე პროექტების დასაფინანსებლად, ხოლო დარჩენილი 5000 ლარი გაიცეს კონკურსის წესით მეწარმე ქალთა მხარდაჭერის მიზნით.

- **აღნიშნული გათვალისწინებულია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.**

22. ბიუჯეტში აისახოს სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსების თანხის გაზრდა, გამომდინერე იქედან, რომ გაიზარდა ნოზოლოგიის ფასი და შეიცვალა დაფინასების სისტემა როგოც 0-18 წლამდე მოზარდებისთვის, ასევე შშმ პირებისთვის, 0-დან 200 000- მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირებისთვის და 36-ე დადგენილებით მოსარგებლე პირებისთვის.

- **აღნიშნული გათვალისწინებულია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.**

23. ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას, თანხა არ ჩაერიცხოთ ხელზე და გადაერიცხოს ამ პროდუქტის შემომტან ორგანიზაციას ან გაიცეს ვაუჩერი.

- **აღნიშნული საკითხი განიხილება და დაზუსტდება.**

24. 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას, სოფლის მეურნეობის კუთხით, ფერმერთა წასახალისებლად შესაბამისი დაფინანსება.

- **აღნიშნულზე გათვალისწინებული იქნება 5.0 ათასი ლარი.**

25. 2023 წლის ბიუჯეტში „9 აპრილის“ სკვერის სარეაბილიტაციო პროექტის დასაფინანსებლად გათვალისწინებული იქნას შესაბამისი თანხების გამოყოფა;

- **აღნიშნული გათვალისწინებულია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.**

26. 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას, ხევი-ერკეთის დამაკავშირებელი გზის პროექტირებისთვის თანხების გამოყოფა;

- **აღნიშნული გათვალისწინებულია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.**

27. დაბა ჩოხატაურში სეპარირებული ნარჩენებისთვის, შესაბამისი ურნების შესაძენად 2023 წლის ბიუჯეტში, გათვალისწინებული იქნას თანხები;

- **აღნიშნული გათვალისწინებული იქნება 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.**

28. საჯარო სკოლების წარჩინებულ (ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები) კურსდამთავრებულთა წახალისებისთვის 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას თანხების გამოყოფა;

- **აღნიშნული გათვალისწინებული იქნება 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.**

29. წარმოდგენილი პროექტი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ, შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისი“ 91- ე მუხლის, ჩოხატაურის მუნიციაპლიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 79-ე მუხლისა და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნებთან და სხვა სამართლებრივ აქტებთან მიმართებაში.

- **გათვალისწინებული იქნება .**